საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA050185129185313

№ 127/ო თბილისი **27 / ნოემბერი / 2013 წ.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 36-ე და 61-ე მუხლებისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის დროულად გაცემის უზრუნველყოფის მიზნით,

ვბრძანებ:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით გაცემისა და პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, მაგდა პოპიაშვილი.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ყველა საჯარო მოსამსახურე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნისთანავე ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2010 წლის 16 აგვისტოს N56/ო ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2013 წლის 14 იანვრის №5/ო ბრძანება.

4. ბრძანება გაეცნოს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეებს.

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა.

მინისტრი



დავით ნარმანია